

შპს “ ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია”

არააუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	4


კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
4. ფულადი სახსრები	10
5. ძირითადი საშუალებები	10
6. შემოსავლები	10
7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11
8. საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	11
9. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები	11
10. მოგების გადასახადის ხარჯი	11
11. პირობითი ვალდებულებები	12
12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	12
13. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	13


კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	27,997	83,701
საგადასახადო აქტივი		45,080	10,486
გაცემული სესხი		-	-
გადახდილი ავანსები		5,348	63,122
სავაჭრო მოთხოვნები		1,862,948	5,103,730
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		6,563,488	6,321,406
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,504,862	11,582,445
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	118,035	213,300
სულ გრძელვადიანი აქტივები		118,035	213,300
სულ აქტივები		8,622,897	11,795,945
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		3,201,933	5,722,795
სავაჭრო ვალდებულებები		4,335,216	3,277,534
დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები		153,195	129,454
საგადასახადო ვალდებულებები		35	-
სახელშეკრულებო ვალდებულებები		24,667	48,203
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,715,046	9,177,986
სულ ვალდებულებები		7,715,046	9,177,986
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		902,113	2,617,759
კაპიტალის სხვა კომპონენტები		5,538	-
სულ კაპიტალი		907,851	2,617,959
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		8,622,897	11,795,945

კობა ბაზაძე
დირექტორი



ლელა ლაკერბაია
მთავარი ბუღალტერი



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	27,997	83,701
საგადასახადო აქტივი		45,080	10,486
გაცემული სესხი		-	-
გადახდილი ავანსები		5,348	63,122
სავაჭრო მოთხოვნები		1,862,948	5,103,730
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		6,563,488	6,321,406
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,504,862	11,582,445
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	118,035	213,300
სულ გრძელვადიანი აქტივები		118,035	213,300
სულ აქტივები		8,622,897	11,795,945
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		3,201,933	5,722,795
სავაჭრო ვალდებულებები		4,335,216	3,277,534
დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები		153,195	129,454
საგადასახადო ვალდებულებები		35	-
სახელშეკრულებო ვალდებულებები		24,667	48,203
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,715,046	9,177,986
სულ ვალდებულებები		7,715,046	9,177,986
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		902,113	2,617,759
კაპიტალის სხვა კომპონენტები		5,538	-
სულ კაპიტალი		907,851	2,617,959
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		8,622,897	11,795,945

კობა ბაზაძე
დირექტორი

ლელა ლაკერბაია
მთავარი ბუღალტერი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	6	40,802,538	43,964,606
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(34,591,760)	(37,043,235)
საერთო მოგება		6,210,778	6,921,371
საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,827,478)	(2,105,181)
კომერციული ხარჯები		(1,155,160)	(808,340)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(77,112)	(171,725)
სხვა საოპერაციო შემოსავლები		72,156	119,907
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		3,223,184	5,433,025
ფინანსური შემოსავალი	9	1,914,692	1,759,399
ფინანსური ხარჯები	9	(2,941,849)	(2,344,343)
მოგება დაბეგვრამდე		2,196,027	3,371,088
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(126,973)	(121,821)
წლის მოგება		2,069,054	3,249,267
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი) მიკუთვნებული:			
კომპანიის მფლობელებს		2,069,054	3,249,267
არამაკონტროლირებელ წილს		-	-
მთლიანი სრული მოგება		2,069,054	3,249,267
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		2,617,759	5,367,731
გაცემული დივიდენდები		(3,784,700)	(6,000,000)
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი		-	761
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		902,113	2,617,759

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანიის“ (შემდგომში კომპანია) საიდენტიფიკაციო ნომერია 401949674. კომპანია დარეგისტრირდა 2010 წლის 26 აგვისტოს და ის საქართველოში ფუნქციონირებს. კომპანია შეიქმნა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დიდმის მასივი, VI კვ., 22 ბ კორპუსი.

2024 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანიის“ დამფუძნებლები იყვნენ:

დამფუძნებლები	2024	2023
შპს თი ჯი ემ ჯგუფი	100%	90%
მალხაზი ჯიმშიაშვილი (საქართველოს მოქალაქე)	0%	10%

შპს „ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია“ ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიის Shell Lubricants ოფიციალური პარტნიორია საქართველოში. კომპანია დაარსების დღიდან წარმოადგენს შელის საცხებ-საპოხი მასალების (Shell Lubricants) რეგიონალურ დისტრიბუტორს საქართველოსა და სომხეთში.

შვილობილი კომპანია

კომპანია შპს „ტრანსკავკასიური იმპექს კომპანიის“ მშობელი კომპანიაა, რომელიც 2011 წლის 14 მარტს დაფუძნდა საქართველოში. შპს „ტრანსკავკასიური იმპექს კომპანია“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 401964683) საქმიანობა არის საცხებ-საპოხი პროდუქციის რეალიზაცია სომხეთში და აზერბაიჯანში.

კომპანია, ასევე, შპს „ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია ამ“ მშობელი კომპანიაა, რომელიც დაფუძნდა 2017 წლის 02 ნოემბერს. მისი საქმიანობა არის ძრავის ძეთების სინჯების აღება და ანალიზის გაკეთება. შპს „ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია ამ“-ის საქმიანობა კონცენტრირებულია სომხეთში.

2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარდგენის საფუძველები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.2 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება კომპანიისა და მისი სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებებისაგან. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯები.

2.3. შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან და გაწეული მომსახურებებიდან

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის კლიენტზე, შემოსავალი აღიარდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც ჯგუფი მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ჯგუფის სამუშაო ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

შესაბამისად, წლის ბოლოსათვის, კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული მოგებისა და ზარალის აღიარების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

2.5. გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

შპს „ტრანსკავკასიური იმპექს კომპანია“ წარმოადგენს სპეციალურ სავაჭრო კომპანიას, ამიტომაც იგი განთავისუფლებულია მოგების გადასახადისგან.

2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივებისა და მომსახურებების შესყიდვისას წარმოშობილი ბრუნვის გადასახადი არის დაუბრუნებადი საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა აისახება როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა ან ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, რომლებიც წმინდა სახით აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის ანგარიშების დანერგვით. ამიტომ ჯგუფი თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

2.6. ფულადი სახსრები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში.

2.7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფები	საექსპლუატაციო ვადა
ავტომობილები	5-10 წელი
საოფისე აღჭურვილობა	2-5 წელი
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	5-10 წელი
სხვა	1-3 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 7 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთაშესწორდება პერსპექტიულად.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

2.9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ჯგუფის მარაგს წარმოადგენს გასაყიდად გამიზნული საქონელი.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის თანახმად, მარაგის თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდისა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც აწარმოეს ან შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

2.10. სავაჭრო მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მხოლოდ რეალიზაციიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს.

2.11. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადანაგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგება/ზარალში.

2.12. მიღებული სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.13. იჯარა

ჯგუფს საანგარიშო პერიოდში აქვს საოპერაციო იჯარა. ჯგუფი იჯარის კლასიფიკაციას ახდენს იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი პერიოდის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.15. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

ჯგუფის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები მოიცავს შემდეგს:

- ▶ საპროცენტო შემოსავალი;
- ▶ საპროცენტო ხარჯი;
- ▶ საკუროსო ცვლილებით წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი სხვა ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საკუროსო სხვაობით წარმოშობილი შემოსულობები და ზარალი წმინდა საფუძველზე აღირიცხება იმის მიხედვით, უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა შემოსულობის პოზიციაშია, თუ წმინდა ზარალის.

სესხები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, მშენებლობას და წარმოებას აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.16. კაპიტალი

ჯგუფის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის თანხა განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდებაში ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალის სახით, ჯგუფის კაპიტალში, იმის გათვალისწინებით, რომ ის შეტანილი იქნება კომპანიაში მესაკუთრეთა მიერ.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შპს „ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. ფულადი სახსრები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	162	81,768
ნაღდი ფული საღაროში	27,835	1,933
სულ ფულადი სახსრები	27,997	83,701

5. ძირითადი საშუალებები

	ავტომობილები	საოფისე აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრისთვის	195,555	31,660	5,191	3,599	236,005
შესყიდვები	1,913	21,189	3,336	-	26,438
ცვეთის ხარჯი	(23,558)	(11,023)	(2,335)	(1,270)	(38,186)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	173,910	41,826	6,192	2,329	224,257
შესყიდვები	67,133	38,480	204	-	105,817
გასვლები	-	(576)	-	-	(576)
ცვეთის ხარჯი	(29,492)	(14,695)	(2,216)	(1,115)	(47,518)
გასვლებზე დაგროვილი ცვეთა	-	576	-	-	576
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	211,551	65,611	4,180	1,214	282,556
შესყიდვები	4,017	20,054	-	842	24,913
გასვლები	(95,951)	(331)	-	(245)	(96,527)
ცვეთის ხარჯი	(29,687)	(18,870)	(2,370)	(1,081)	(52,008)
გასვლებზე დაგროვილი ცვეთა	54,055	295	-	16	54,366
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	143,985	66,759	1,810	746	213,300
შესყიდვები	2,059	32,264	-	238	34,561
გასვლები	(100,377)	(47,223)	(53)	-	(147,653)
ცვეთის ხარჯი	(16,864)	(18,737)	(435)	(365)	(36,401)
გასვლებზე დაგროვილი ცვეთა	38,312	15,915	-	-	54,227
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	67,115	48,978	1,322	619	118,035

6. შემოსავლები

	2024	2023
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	37,914,305	43,887,545
შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან	2,888,233	77,061
სულ შემოსავალი	40,802,538	43,964,606

შპს „ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(21,417,320)	(36,936,841)
გაწეული მომსახურების ღირებულება:		
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	(13,174,440)	(106,394)
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(34,591,760)	(37,095,397)

8. საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	(572,753)	(941,521)
საიჯარო ხარჯი	(506,591)	(458,097)
პროფესიული მომსახურება	(340,315)	(323,443)
სამივლინებო ხარჯი	(120,629)	(68,873)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(66,542)	(55,389)
ცვეთა და ამორტიზაცია	(35,668)	(49,878)
კომუნალური ხარჯები	(16,561)	(29,606)
საოფისე ხარჯი	-	(53)
სხვა ხარჯები	(168,420)	(178,321)
საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(1,827,478)	(2,105,181)

9. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

	2024	2023
საკურსო სხვაობიდან მიღებული ნეტო შემოსულობა	1,911,835	1,743,392
საპროცენტო შემოსავალი	2,857	16,007
სულ ფინანსური შემოსავალი	1,914,692	1,759,399

	2024	2023
საკურსო სხვაობიდან მიღებული ნეტო ზარალი	(2,224,114)	(1,850,163)
საპროცენტო ხარჯები	(707,311)	(482,308)
სხვა ფინანსური ხარჯი	(10,424)	(11,872)
სულ ფინანსური ხარჯები	(2,941,849)	(186,093)

10. მოგების გადასახადის ხარჯი

მიმდინარე მოგების გადასახადი წარმოადგენს გადასახადს ჯგუფის მფლობელისთვის გადახდილ დივიდენდზე.

11. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს გაგებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო უწყების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმებისა და საურავების დაკისრების უფლება. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებებზე.

დაგირავებული აქტივები

ქვემოთ მოცემული აქტივები დაგირავებული იყო ბანკებისგან სესხების უზრუნველყოფის მიზნით:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მარაგები	6,563,488	6,321,406

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ნაწილობრივი კონტროლით იმოქმედოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2024 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

	მესაკუთრეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული კომპანიები
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	88,797
მიღებული სესხები	-	-	(2,934,992)
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	(126,716)
გასაცემი ხელფასები	-	(28,910)	-

2023 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

	მესაკუთრეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული კომპანიები
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	3,954,443
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	416,085
გასაცემი ხელფასები	-	19,491	-

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგების თანხები დაფიქსირდა:

	მესაკუთრეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
საქონლის რეალიზაცია	-	-	14,521,261
საქონლის შესყიდვა	-	(573)	(277,410)
საპროცენტო შემოსავალი	-	-	-
ხელფასები და პრემიები	-	(27,986)	-
პროფესიული მომსახურება	-	-	(192,577)
სხვა შემოსავლები	-	-	213,897
გადახდილი დივიდენდები	(3,767,877)	-	-

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგების თანხები დაფიქსირდა:

	მესაკუთრეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
საქონლის რეალიზაცია	-	-	3,671,668
საქონლის შესყიდვა	-	(573)	(16,487,798)
საპროცენტო შემოსავალი	-	-	-
ხელფასები და პრემიები	-	(27,986)	-
პროფესიული მომსახურება	-	-	(6,914)
სხვა ხარჯები	-	-	9,294
გადახდილი დივიდენდები	(6,000,000)	-	-

13. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა გამოაცხადა დივიდენდების გაცემა 800,000 ლარის ოდენობით.